ხელშეკრულება N47/01/22
სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

ერთის მხრივ ბოლნისის მუნიციპალიტეტი (შემდგომში „შემსყიდველი”) წარმოდგენილი მისი მერის **დავით** შერაზადიშვილის სახით და **მეორეს მხრივ** **შპს „მარნეული მოლი“** (შემდგომში „მიმწოდებელი”) წარმოდგენილი **მისი დირექტორის** ახმედ ბაქიროვის სახით, დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას გამარტივებული შესყიდვის საშუალებით (მონეტარული ზღვრების დაცვით) შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინთა განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ” (შემდგომ - „ხელშეკრულება”) შემსყიდველ ორგანიზაციასა და **მიმწოდებელს** შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით,რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება” ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.3. „შემსყიდველ ორგანიზაცია” (შემდგომ „შემსყიდველი”) ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.4 „მიმწოდებელი” ნიშნავს პირს, რომელიც აწვდის საქონელს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

1.5 „დღე”, „კვირა”, „თვე” ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს **სხვადასხვა სახის ბურღულეულის** (ა) ბრინჯი „პაკისტანი“ 25 კგ ტომარა -- **23 ერთეული;** ბ) ოსპი თურქული 25 კგ ტომარა -- **20 ერთეული).** შესყიდვა. (CVP 03211300; 03212211).

2,2 დაფინანსების წყარო -- ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტი (სარეზერვო ფონდი - მუნიციპალიტეტის მერის ბრძანება: პ/10855790

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს **4941 (ოთხიათას ცხრაას ორმოცდაერთი)** ლარს.

3.2 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

3.3 ერთეულის ფასები: ა) ბრინჯი -- 87 ლარი; ბ) ოსპი -- 147 ლარი.

4 საპატენტო უფლებები

4.1 საქონლის ან მისი ნებისმიერი ნაწილის გამოყენებისას საპატენტო უფლების დარღვევასთან, ასევე საპატენტო მარკის ან საწარმოო ნაკეთობის გამოყენებასთან დაკავშირებით წარმოშობილი დავების ან მატერიალური პასუხისმგებლობის მოგვარება ეკისრება მიმწოდებელს.

5 საქონლის მიწოდების ვადები

5.1 საქონლის მიწოდება იწარმოებს, ხელშეკრულების გაფორმებიდან 2022 წლის 03 მარტამდე

6 შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

7.1 მიმწოდებელი ვალდებულია, მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე გადასცეს შემსყიდველს (მის მიერ უფლებამოსილ პირს) ხელშეკრულების 3,3 პუნქტით განსაზღვრული შესაბამისი რაოდენობის საქონელი.

7.2 შემსყიდველის მხრიდან საქონლის მიღებაზე უფლებამოსილ პირს წარმოადგენს ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის სამსახურის უფროსი პაპუნა მუშკუდიანი.

7. ანგარიშსწორება

7.1 ანგარიშსწორება მოხდება ლარებში.

7.2 გადახდის ფორმა – უნაღდო.

7.3 ანგარიშსწორების ვადა – საქონლის მიღებიდან (მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან) 10 სამუშაო დღე.

8. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

8.1 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან შესრულების ვადის გადაცილებისათვის მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.1%-ის ოდენობით, ხოლო თუკი ადგილი აქვს ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობას, პირგასამტეხლო შეადგენს ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0.1%-ს.

8.2 იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 3%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

8.3 საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

9.1 შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება მიმწოდებლისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:

ა) თუ მიმწოდებლს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს მთელი საქონელი ან მისი ნაწილი.

ბ) თუ მიმწოდებლს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე ვალდებულება.

9.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9.3 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

გ) თუ მისთვის ცნობილი გახდება, რომ მიმწოდებლის საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები ყალბი აღმოჩნდება;

დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

9.4 ამ მუხლის მე-3 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს ფაქტიურად მიღებული საქონლის ღირებულება.

10. ფორს-მაჟორი

10.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას,თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს მაჟორული გარემოების შედეგი.

10.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა დადაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი.ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით,ეპიდემიით,კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით,საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

10.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ,რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება,დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ.თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს,იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

11.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია ზემოთ მითითებული თარიღიდან და ძალაშია 2022 წლის 31 მაისამდე.

18. სხვა პირობები

18.1 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

18.2 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით,ხარჯებითა და რისკით.

18.3 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და ერთი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

18.4 გამარჯვებული პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება და დანართები თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

18.5 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ,რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

19. რეკვიზიტები

„შემსყიდველი"	„მიმწოდებელი"
ბოლნისის მუნიციპალიტეტი	**შპს „მარნეული მოლი"**
მის: ქ. ბოლნისი, ს.ს. ორბელიანის 106	**მის:** ქ. მარნეული. რუსთაველის ქ. №36
ს/კ 225393963	**ს/კ 434172370**
სახელმწიფო ხაზინა; ხაზინის ერთიანი ანგარიში	სს „საქართველოს ბანკი"
ბ/კ TRESGE22	ბ/კ BAGAGE22
ა/ა GE24NB0330100200165022	ა/ა GE21BG0000000100769270

_____	_____
მუნიციპალიტეტის მერი:	დირექტორი:
დავით შერაზადიშვილი	**ახმედ ბაქიროვი**